



საქართველოს სსრ



საგზ. რესპუბლიკის

მუშათა და გლეხთა მთავრობის

# კანონთა და განკარგულებათა კრებული

სახალხო კომისართა საგზოს და ეკონომიური საგზოს  
საქმეთა მმართველობის გამომცემა

1935 წ. მაისის 10.

№ 11

ტფილისი

## შ ი ნ ა ა რ ს ი

სოციალური უზრუნველყოფა

63. სრულიად საქართველოს ყრუ-მუნჯთა საზოგადოების დებულების დამტკიცების შესახებ.

დებულება სრულიად საქართველოს ყრუ-მუნჯთა საზოგადოების შესახებ.

64. სრულიად საქართველოს უსინათლოთა საზოგადოების დებულების დამტკიცების შესახებ.

დებულება სრულიად საქართველოს უსინათლოთა საზოგადოების შესახებ.

## სოციალური უზრუნველყოფა

### 63. დადგენილება ც.ა.კ. და ს.კ.ს

334

სრულიად საქართველოს ყრუ-მუნჯთა საზოგადოების დებულების დამტკიცების შესახებ.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

1. დამტკიცებულ იქნას ამასთანავე დართული დებულება სრულიად საქართველოს ყრუ-მუნჯთა საზოგადოების შესახებ.

2. 1-ლ მუხლში აღნიშნული დებულების დამტკიცებისას, ძალადაკარგულად ჩაითვალოს 1929 წლის ოქტომბრის 29-ის დებულება საქართველოს სსრ სოციალური უზრუნველყოფის სახალხო კომისარიატთან არსებული სრულიად საქართველოს ყრუ-მუნჯთა შენაერთის შესახებ. (საქ. სსრ კან. კრ. 1929 წ. 24 №-ი, მუხ. 304; 1930, № 12, მუხ. 171; 1931 წ. № 15, მუხ. 180 (კარი II, პ. 12).

სრ. საქ. ც.ა.კ-ის თავმჯდომარე ფ. მახარაძე.

საქ. სსრ ს.კ.ს-ის თავმჯდომარის მოადგ. მ. ტაროშელიძე.

სრ. საქ. ც.ა.კ-ის მდივანი თ. ჟღენტი.

1935 წ. თებერვლის 22. № 15/255.

ტფილისი.

## დ ე ბ უ ლ ე ბ ა

### სრულიად საქართველოს ყრუ-მუნჯთა საზოგადოების შესახებ.

#### I. ზოგადი დებულებანი

1. სრულიად საქართველოს ყრუ-მუნჯთა საზოგადოების ძირითად ამოცანას შეადგენს მშრომელ ყრუ-მუნჯთა, დაყრუბულთა და დამუნჯებულთა გაერთიანება იმ მიზნით, რომ უფრო მეტად გაუმჯობესდეს მათი კულტურულ-სოციალური მომსახურეობა, ამაღლდეს მათი პოლიტიკური დონე, განხორციელდეს მათი აღზრდა და შრომა-სწავლება და აგრეთვე მათი მაქსიმალურად ჩაბმა სოციალისტური მშენებლობის ამოცანების შესრულების საქმეში.

2. სრულიად საქართველოს ყრუ-მუნჯთა საზოგადოება, წარმოადგენს რა დამოუკიდებელ საზოგადოებრივ ორგანიზაციას, არსებობს საქართველოს სსრ სოციალური უზრუნველყოფის სახალხო კომისარიატთან და მოქმედობს ამა დებულებისა და საქართველოს სსრ სოციალური უზრუნველყოფის სახალხო კომისარიატის მიერ დამტკიცებული წესდების საფუძველზე.

3. სრულიად საქართველოს ყრუ-მუნჯთა საზოგადოების მუშაობის გეგმას ამტკიცებს საქართველოს სსრ სოციალური უზრუნველყოფის სახალხო კომისარიატი. გეგმით გათვალისწინებულ ღონისძიებებს და მთელ მუშაობას ყრუ-მუნჯთა შრომაში ჩაბმისა, მათი სწავლებისა და განათლების საქმეში სრულიად საქართველოს ყრუ-მუნჯთა საზოგადოება ანხორციელებს დაინტერესებულ უწყებებთან და ორგანიზაციებთან ერთად.

4. ყრუ-მუნჯთა არტელებს შეუძლიათ დამოუკიდებელი ორგანიზაციების სახით შევიდნენ ინვალიდთა კოოპერაციის სისტემაში, ან და შეუერთდნენ ინვალიდთა არსებულ შენაერთებს. როგორც პირველ, ისე მეორე შემთხვევაში წესი და პირობები ყრუ-მუნჯთა არტელების ინვალიდთა კოოპერატიულ სისტემაში შეესაბამება, ყრუ-მუნჯთა თავისებურების გათვალისწინებით, განისაზღვრება ინსტრუქციებით და დებულებებით, რასაც გამოსცემს საქართველოს სსრ სოციალური უზრუნველყოფის სახალხო კომისარიატი სრულიად საქართველოს ინვალიდთა კოოპერატიულ კავშირთან და სრულიად საქართველოს ყრუ-მუნჯთა საზოგადოებასთან შეთანხმებით.

5. სრულიად საქართველოს ყრუ-მუნჯთა საზოგადოება და მისი ადგილობრივი ორგანიზაციები დამოუკიდებლად აგებენ პასუხს თავიანთი ვალებისა და ვალდებულებებისათვის მთელი თავიანთი ქონებით; ამასთანავე, სრულიად საქართველოს ყრუ-მუნჯთა საზოგადოება არ აგებს პასუხს თავისი ადგილობრივი ორგანიზაციების ვალებისათვის, ხოლო ეს უკანასკნელნი—სრულიად საქართველოს ყრუ-მუნჯთა საზოგადოების ვალებისათვის.

6. სრულიად საქართველოს ყრუ-მუნჯთა საზოგადოებას და მის ადგილობრივ ორგანიზაციებს აქვთ იურიდიული პირის უფლებები ამა დებულებით გათვალისწინებული ფუნქციების განსახორციელებლად.

## II. სრულიად საქართველოს ყრუ-მუნჯთა საზოგადოების ამოცანები.

7. სრულიად საქართველოს ყრუ-მუნჯთა საზოგადოების ძირითად ამოცანას შეადგენს:

ა) გამოარკვიოს, აღრიცხოს და გააერთიანოს მშრომელი ყრუ-მუნჯნი, დაყრუებულნი და დამუნჯებულნი, როგორც ქალაქად, ისე სოფელიდ;

ბ) განახორციელოს კულტურულ-საგანმანათლებლო და კულტურულ-საყოფაცხოვრებო მუშაობა ყრუ-მუნჯთა, დაყრუებულთა და დამუნჯებულთა შორის, რისთვისაც მოაწყოს მათთვის სპეციალური კლუბები, წითელი კუთხეები და სხვ.;

გ) მოამზადოს ყრუ-მუნჯთაგან, დაყრუებულთა და დამუნჯებულთაგან ნაწილად კადრები, რისთვისაც განახორციელოს მათი საერთო და პროფესიონალურ-ტექნიკური სწავლება სოციალური უზრუნველყოფის სახალხო კომისარიატის სისტემის სასწავლო-საწარმოო წამოწყებებში, ხელი შეუწყოს მათ სწავლებას საერთო და სპეციალურ სახელმწიფო სასწავლებლებში და აგრეთვე მოაწყოს ყრუ-მუნჯთა, დაყრუებულთა და დამუნჯებულთა შეგირდობა სოციალური უზრუნველყოფის სახალხო კომისარიატის წამოწყებებსა, დაწესებულებებსა და პროფესიონალურ-ტექნიკურ სკოლებში;

დ) გეგმიანად მოაწყოს ყრუ-მუნჯნი, დაყრუებულნი და დამუნჯებულნი სამუშაოზე სახელმწიფო და კოოპერატიულ წამოწყებებში, საბჭოთა მეურნეობებსა და კოლმეურნეობებში და აგრეთვე სოციალური უზრუნველყოფის სახალხო კომისარიატთან არსებულ სასწავლო-საწარმოო და საწარმოო წამოწყებების სამმართველოს საწარმოო წამოწყებებში;

ე) მონაწილეობა მიიღოს განათლების და ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატებისა და სხვა ორგანოების მუშაობაში, რაც სწარმოებს იმისათვის, რომ უზრუნველყოფილ იქნას ყრუ-მუნჯთა, დაყრუებულთა და დამუნჯებულთა სასკოლო, სკოლამდე და სკოლაგარეშე აღზრდისა და განათლების რაციონალურად დაყენება, რომ უზრუნველყოფილ იქნან ისინი საექიმო დახმარებით, რომ განხორციელდეს ღონისძიებანი ყურის ავადმყოფობათა და მეტყველების ნაკლულოვანებათა პროფილაქტიკისათვის და აგრეთვე ყრუ-მუნჯთა საყოფაცხოვრებო მომსახურებისათვის;

ვ) აღმოუჩინოს საზოგადოების წევრებს უფლებრივი დახმარება;

ბ) გასწიოს წარმომადგენლობა ყრუ-მუნჯთა, დაყრუებულთა და დამუნჯებულთა საქმეების გამო ცენტრალურ და ადგილობრივ სახელმწიფო ორგანიზაციებსა და საზოგადოებრივ ორგანიზაციებში;

თ) გამოსცეს ლიტერატურა ყრუ-მუნჯთა, დაყრუებულთა და დამუნჯებულთა ცხოვრების, შრომის და განათლებისა, ყურის ავადმყოფობისა და მეტყველების მოშლილობის საკითხებზე და აგრეთვე სხვა საკითხებზე, რაც ყრუ-მუნჯთა ინტერესებსა და მოთხოვნილებას ეხება; აგრეთვე აწარმოოს საზოგადოების მიზნებისა და ამოცანების პროპაგანდა მოხსენების, ლექციების და სხვ. მოწყობით;

ი) მზრუნველობა გაუწიოს ღრმა-მოხუცებულ და შრომის უნარმოკლებულ ყრუ-მუნჯთ, დაყრუებულთ და დამუნჯებულთ;

კ) იქონიოს კავშირი და აწარმოოს გამოცდილების გაცვლა-გამოცვლა ყრუ-მუნჯთა, დაყრუებულთა და დამუნჯებულთა ორგანიზაციებთან სხვა მოკავშირე რესპუბლიკებში.

### III. სრულიად საქართველოს ყრუ-მუნჯთა საზოგადოების შედგენილობა.

8. სრულიად საქართველოს ყრუ-მუნჯთა საზოგადოების წევრად შეიძლება იყოს საარჩევნო უფლების მქონე მშრომელი და აგრეთვე ის პირი, ასაკით 14 წლიდან 18 წლამდე, რომელიც აბსოლუტურად ან ნაწილობრივ ყრუ-მუნჯია, აგრეთვე დამუნჯებული და დაყრუებული, უკეთეს ამ უკანასკნელს სმენა იმდენად დაკარგული აქვს, რომ უძნელდება თავისუფალი ურთიერთობის დაქერა ნორმალურ წრეში.

საზოგადოების წევრად შეიძლება აგრეთვე იყოს სმენისა და მეტყველების მქონე მშრომელი, რომელსაც საარჩევნო უფლება აქვს, უკეთეს მას შეუძლია დახმარება აღმოუჩინოს ყრუ-მუნჯთა ორგანიზაციას.

სრულიად საქართველოს ყრუ-მუნჯთა საზოგადოების წევრად შეიძლება იყოს აგრეთვე იურიდიული პირი (სახელმწიფო ორგანო, პროფესიონალური და სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაცია).

9. საზოგადოების წევრად მიღების წესი და პირობები და აგრეთვე საზოგადოების შედგენილობიდან გასვლა და გარიცხვა განისაზღვრება სრულიად საქართველოს ყრუ-მუნჯთა საზოგადოების წესდებით.

10. საზოგადოების ადგილობრივი ორგანიზაციის წევრად შესული პირი და ორგანიზაცია ითვლება სრულიად საქართველოს ყრუ-მუნჯთა საზოგადოების წევრად.

11. საზოგადოების ყველა წევრი, როგორც ყრუ-მუნჯი, ისე სმენისა და მეტყველების მქონე, გარდა არასრულწლოვანისა, შეიძლება არჩეულ იქნას საზოგადოების საქმეთა მმართველობის ყველა თანამდებობაზე, გარდა სრუ-

ლიად საქართველოს ყრუ-მუნჯთა საზოგადოების და მისი ადგილობრივი განიზაცეების თავმჯდომარეების თანამდებობისა, რომელი თანამდებობაც აუცილებლად უნდა ეკუროს ყრუ-მუნჯს, დაყრუებულს ან დამუნჯებულს.

მმართველობის და კონტროლის ორგანოების არჩევის წესი და მათი მოქმედების საგანი განისაზღვრება სრულიად საქართველოს ყრუ-მუნჯთა საზოგადოების წესდებით.

12. საზოგადოების წევრად შემსვლელი პირი, დაწესებულება და ორგანიზაცია შეიტანს შესასვლელ და საწევრო გადასახადს, რომლის რაოდენობას განსაზღვრავს სრულიად საქართველოს ყრუ-მუნჯთა საზოგადოების საერთო კრება. არაშემძლე ყრუ-მუნჯი, დაყრუებული და დამუნჯებული, უმუშევარი და მოსწავლე შეიძლება განთავისუფლებულ იქნას საწევრო გადასახადისაგან, ან და მათთვის შეიძლება დაწესდეს ამ გადასახადის შემცირებული რაოდენობა.

#### IV. სრულიად საქართველოს ყრუ-მუნჯთა საზოგადოების სახსარი.

13. საზოგადოების და მისი ადგილობრივი ორგანიზაციების (განყოფილებების, უჯრედების) სახსარი შესდგება:

ა) შესასვლელი და საწევრო გადასახადებისაგან;

ბ) ანარიცხებისაგან, რასაც გადადებენ სახელმწიფო ორგანოები და საზოგადოებრივი ორგანიზაციები;

გ) ყოველწლიური ანარიცხებისაგან, რასაც გადასდებს სოციალური უზრუნველყოფის სახალხო კომისარიატთან არსებული სასწავლო-საწარმოო წამოწყებების სამმართველო, თანახმად სრულიად საქართველოს ყრუ-მუნჯთა საზოგადოების ხარჯთაღრიცხვებისა, რომელთაც დაამტკიცებს სოციალური უზრუნველყოფის სახალხო კომისარიატი;

დ) ლექციების, კონცერტების, ლიტერატურული საღამოების, სპექტაკლების, კინო-სეანსების, ლატარიების, გამოფენების და ლიტერატურული გამოცემების შემოსავლისაგან და სხვა შემოსავლისაგან.

#### V. სრულიად საქართველოს ყრუ-მუნჯთა საზოგადოების საქმეთა მმართველობა.

14. სრულიად საქართველოს ყრუ-მუნჯთა საზოგადოების და მისი ადგილობრივი ორგანიზაციების მმართველობის ორგანოები: სრულიად საქართველოს ყრუ-მუნჯთა საზოგადოების საერთო კრებები და მასში შემავალ ყრუ-მუნჯთა, დამუნჯებულთა და დაყრუებულთა ადგილობრივი ორგანიზაციების რწმუნებულთა კრებები და გამგეობანი.

საზოგადოების და მისი ადგილობრივი ორგანიზაციების მოქმედების ტროლისა და მეთვალყურეობის ორგანოებია სარევიზიო კომისიები.

მმართველობისა და კონტროლის აღნიშნული ორგანოები ეწყობიან და მუშაობენ საზოგადოების წესდებით განსაზღვრულ საფუძველზე.

სრულიად საქართველოს ყრუ-მუნჯთა საზოგადოების და მისი ადგილობრივი ორგანოების გამგეობანი შეადგენენ წლიურ საფინანსო გეგმებს, რომლებიც საზოგადოების სისტემაში შემაჯავლი ყველა ორგანიზაციის მოქმედებას უნდა მოიცავდეს; თვალყურს ადევნებენ ამ გეგმების შესრულებას და თავიანთი მოქმედების ანგარიშს აბარებენ საზოგადოების საერთო კრებას და ადგილობრივი ორგანიზაციების რწმუნებულთა კრებას იმ ვადებზე, რაც დაწესებულია ასეთი კრებებისათვის.

#### IV. სრულიად საქართველოს ყრუ-მუნჯთა საზოგადოების ადგილობრივი ორგანიზაციები.

15. სრულიად საქართველოს ყრუ-მუნჯთა საზოგადოების წესდებით გათვალისწინებული წესით, საქართველოს სსრ ტერიტორიაზე მოეწყობა საზოგადოების ადგილობრივი რესპუბლიკანური (აფხაზეთის და აქარისტანის ავტონომიური რესპუბლიკების), საოლქო (სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის), საქალაქო, სარაიონო და სასოფლო ორგანიზაციები (განყოფილებანი, უჯრედები), რომელნიც ადგილობრივი მასშტაბით განახორციელებენ ამა დებულების მე-7 მუხლში აღნიშნულ ამოცანებს.

16. სრულიად საქართველოს ყრუ-მუნჯთა საზოგადოების ადგილობრივი ორგანიზაციების მოქმედების საერთო ხელმძღვანელობას და კონტროლს ანხორციელებს საქართველოს სსრ სოციალური უზრუნველყოფის სახალხო კომისარიატი და სოციალური უზრუნველყოფის ადგილობრივი ორგანოები, ხოლო აფხაზეთის და აქარისტანის ავტონომიურ რესპუბლიკებსა და სამხრეთ-ოსეთის ავტონომიურ ოლქში—ამ რესპუბლიკებისა და ოლქის სოციალური უზრუნველყოფის ორგანოები, კუთვნილებისამებრ.

#### VII. ყრუ-მუნჯთა სრულიად საქართველოს ყრილობები.

17. სრულიად საქართველოს ყრუ-მუნჯთა საზოგადოების გამგეობის შეხედულებისამებრ და სოციალური უზრუნველყოფის სახალხო კომისარიატის ნებართვით, იმ მიზნით, რომ გამოიჩინოს ყრუ-მუნჯთა, დაყრუბულთა და დამუნჯებულთა საკირობანი რესპუბლიკის მთელ ტერიტორიაზე, რომ უფრო წარმატებით განხორციელდეს დასახული ღონისძიებანი მათი მოთხოვნების დასა-

კმაყოფილებლად და გამომუშავდეს საერთო პრინციპები ყრუ-მუნჯთა, დაყრუებულთა და დამუნჯებულთა მასების მატერიალური, მორალური და კულტურული დახმარების საქმეში, შეიძლება მოწვეულ იქნას ყრუ-მუნჯთა, დაყრუებულთა, და დამუნჯებულთა ყრილობები, თათბირები და კონფერენციები. მათი მოწვევის წესს, შედგენილობას და იმ საკითხთა წრეს, რაც მათ უნდა განიხილონ, განსაზღვრავს სრულიად საქართველოს ყრუ-მუნჯთა საზოგადოების გამგეობა.

#### VIII. სრულიად საქართველოს ყრუ-მუნჯთა საზოგადოებისა და მისი წევრებისათვის მინიჭებული შეღავათები და უპირატესობანი.

18. თავისი საქიროებისათვის სადგომების დიქირავების საქმეში სრულიად საქართველოს ყრუ-მუნჯთა საზოგადოებას და მის ადგილობრივ ორგანიზაციებს (განყოფილებებს, უჯრედებს) აქვთ ის შეღავათები და უპირატესობანი, რაც ეძლევათ ინვალიდთა კოოპერატიულ შენაერთებს.

19. სრულიად საქართველოს ყრუ-მუნჯთა საზოგადოება და მისი ადგილობრივი ორგანიზაციები განთავისუფლდებიან სხვადასხვა გარიგების დადების დროს და ყველა სხვა შემთხვევაში ყველა ადგილობრივი გადასახადისა და გამოსაღებისაგან და ერთიანი სახელმწიფო ბაჟისაგან.

20. სრულიად საქართველოს ყრუ-მუნჯთა საზოგადოებისა და მისი ადგილობრივი ორგანიზაციების მიერ მოწყობილ ყრუ-მუნჯთა არტელებს აქვთ თავის მოქმედებაში ის უფლებანი, შეღავათები და უპირატესობანი, რაც კანონით ინვალიდთა არტელებს აქვთ მინიჭებული. ყრუ-მუნჯთა არტელები ეწყობიან და მოქმედობენ სანიმუშო წესდებათა საფუძველზე, რასაც სოციალური უზრუნველყოფის სახალხო კომისარიატი გამოსცემს ინვალიდთა კოოპერატიული შენაერთებისათვის.

21. სრულიად საქართველოს ყრუ-მუნჯთა საზოგადოებისა და მისი ადგილობრივი ორგანიზაციების შედგენილობაში შემავალი ყრუ-მუნჯნი, დაყრუებულნი და დამუნჯებულნი და აგრეთვე მათ რჩენაზე მყოფი მათი ოჯახის წევრები, ყოველგვარი გადასახადის, გამოსაღების და ბაჟის გადახდისა, ბინის ქირისა და კომუნალური მომსახურების ქირის გადახდის მხრივ გაუთანასწოროდებიან სახელმწიფო (სოციალურ) უზრუნველყოფაზე აყვანილ ინვალიდებს და მათი ოჯახის წევრებს.

22. ყრუ-მუნჯს, დაყრუებულს და დამუნჯებულს, რომელიც სრულიად საქართველოს ყრუ-მუნჯთა საზოგადოების წევრია და ეწევა პირად რეწობას ან ხელოსნობას, გადასახადით და გამოსაღებით დაბეგვრის სფეროში აქვს იგივე უფლებები და შეღავათები, რაც იმ ინვალიდებს, რომელნიც სახელმწიფო პენსიას იღებენ.

23. სამედიცინო დახმარება იმ ყრუ-მუნჯთ, დაყრუებულთ და დამუნჯებულთ, რომელნიც სრულიად საქართველოს ყრუ-მუნჯთა საზოგადოების წევ-



რები არიან, და მათ ოჯახებს აღმოეჩინება იმავე წესით და მოცულობით, როგორც დაზღვეულებს და მათი ოჯახის წევრებს.

24. ამა დებულების 21, 22, და 23 მუხლებში აღნიშნული შედგავთები არ გავრცელდება სრულიად საქართველოს ყრუ-მუნჯთა საზოგადოების იმ წევრებზე, რომელთაც სმენა და მეტყველება აქვთ.

**64. დადგენილება ც.ა.კ. და ს.კ.ს.**

ქვყ

სრულიად საქართველოს უსინათლოთა საზოგადოების დებულების დამტკიცების შესახებ.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

1. დამტკიცებულ იქნას ამასთანავე დართული დებულება სრულიად საქართველოს უსინათლოთა საზოგადოების შესახებ.

2. 1-ლ მუხლში აღნიშნული დებულების დამტკიცებისას, ძალადაკრგულად ჩაითვალოს 1930 წლის მაისის 18-ის დებულება საქართველოს სსრ სოციალური უზრუნველყოფის სახალხო კომისარიატთან არსებული სრულიად საქართველოს უსინათლოთა საზოგადოების შესახებ (საქ. სსრ კან. კრ. 1930 წ. მე-13 №-ი, მუხ. 200; 1931 წ. № 15, მუხ, 180 (კარი II, პ. 15).

სრ. საქ. ც. ა. კ-ის თავმჯდომარე ფ. მახარაძე.

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს თავმჯდომარის მოადგ. მ. ტოროშელიძე.

სრ. საქ. ც. ა. კ-ის მდივანი თ. ჟღენტი.

1935 თებერვლის 22. № 14/254.

ტფილისი.

**დ ე ბ უ ლ ე ბ ა**

სრულიად საქართველოს უსინათლოთა საზოგადოების შესახებ.

**I. ზოგადი დებულებანი.**

1. სრულიად საქართველოს უსინათლოთა საზოგადოების ძირითად ამოცანას შეადგენს უსინათლოთა ბოლიტიკური აღზრდა, განათლება და შრომა-

სწავლება, მათი მდგომარეობის თავისებურებათა მიხედვით, და აგრეთვე მათი შრომითი მოწყობა სახელმწიფო და კოოპერატიულ მრეწველობაში და სახალხო მეურნეობის სხვა დარგებში, რაც მათთვის ხელმისაწვდენია.

2. სრულიად საქართველოს უსინათლოთა საზოგადოება, წარმოადგენს რა დამოუკიდებელ საზოგადოებრივ ორგანიზაციას, არსებობს საქართველოს სსრ სოციალური უზრუნველყოფის სახალხო კომისარიატთან და მოქმედობს ამა დებულებისა და საქართველოს სსრ სოციალური უზრუნველყოფის სახალხო კომისარიატის მიერ დამტკიცებული წესდების საფუძველზე.

3. სრულიად საქართველოს უსინათლოთა საზოგადოების მუშაობის გეგმას ამტკიცებს საქართველოს სსრ სოციალური უზრუნველყოფის სახალხო კომისარიატი. გეგმით გათვალისწინებულ ღონისძიებებს და მთელ მუშაობას უსინათლოთა შრომაში ჩაბმისა, მათი სწავლებისა და განათლებისა და აგრეთვე უსინათლობის პროფილაქტიკის საქმეში სრულიად საქართველოს უსინათლოთა საზოგადოება ანხორციელებს დაინტერესებულ უწყებებთან და ორგანიზაციებთან ერთად.

4. უსინათლოთა არტელებს შეუძლიათ დამოუკიდებელი ორგანიზაციების სახით შევიდნენ ინვალიდთა კოოპერაციის სისტემაში, ან და შეუერთდნენ ინვალიდთა არსებულ შენაერთებს.

როგორც პირველ, ისე მეორე შემთხვევაში\* წესი და პირობები უსინათლოთა არტელების ინვალიდთა კოოპერატიულ სისტემაში შესვლისა, უსინათლოთა თავისებურების გათვალისწინებით, განისაზღვრება ინსტრუქციებით და დებულებებით, რასაც გამოსცემს საქართველოს სსრ სოციალური უზრუნველყოფის სახალხო კომისარიატი სრულიად საქართველოს ინვალიდთა კოოპერატიულ კავშირთან და სრულიად საქართველოს უსინათლოთა საზოგადოებასთან შეთანხმებით.

5. სრულიად საქართველოს უსინათლოთა საზოგადოება და მისი ადგილობრივი ორგანიზაციები დამოუკიდებლად აგებენ პასუხს თავიანთი ვალებისა და ვალდებულებებისათვის მთელი თავიანთი ქონებით; ამასთანავე, სრულიად საქართველოს უსინათლოთა საზოგადოება არ აგებს პასუხს თავისი ადგილობრივი ორგანიზაციების ვალებისათვის, ხოლო ეს უკანასკნელნი სრულიად საქართველოს უსინათლოთა საზოგადოების ვალებისათვის.

6. სრულიად საქართველოს უსინათლოთა საზოგადოებას და მის ადგილობრივ ორგანიზაციებს აქვთ იურიდიული პირის უფლება ამა დებულებით გათვალისწინებული ფუნქციების განსახორციელებლად.

## II. სრულიად საქართველოს უსინათლოთა საზოგადოების ამოცანები.

7. სრულიად საქართველოს უსინათლოთა საზოგადოების ძირითად ამოცანას შეადგენს:

ა) გამოარკვიოს, აღრიცხოს და გააერთიანოს მშრომელი უსინათლონი, რომლებიც გორც ქალაქად, ისე სოფლად;

ბ) განახორციელოს კულტურულ-საგანმანათლებლო და კულტურულ-საყოფაცხოვრებო მუშაობა უსინათლოთა შორის, რისთვისაც მოაწყოს სპეციალური კლუბები, წითელი კუთხეები და სხვ.;

გ) მოამზადოს უსინათლოთაგან ნასწავლი კადრები, რისთვისაც განახორციელოს მათი საერთო და პროფესიონალურ-ტექნიკური სწავლება სოციალური უზრუნველყოფის სახალხო კომისარიატის სისტემის სასწავლო-საწარმოო წამოწყებებში, ხელი შეუწყოს მათ სწავლებას საერთო და სპეციალურ სახელმწიფო სასწავლებლებში და უსინათლოთა კურსებზე და აგრეთვე მოაწყოს უსინათლოთა შეგირდობა წამოწყებებსა და დაწესებულებებში;

დ) გეგმიანად მოაწყოს უსინათლონი სამუშაოზე სახელმწიფო და კოოპერატიულ წამოწყებებში, საბჭოთა მეურნეობებსა და კოლმეურნეობებში და აგრეთვე სოციალური უზრუნველყოფის სახალხო კომისარიატთან არსებული სასწავლო-საწარმოო და საწარმოო წამოწყებების სამმართველოს საწარმოო წამოწყებებში;

ე) მონაწილეობა მიიღოს განათლების და ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატებისა და სხვა ორგანოების მუშაობაში, რაც სწარმოებს იმისათვის, რომ უზრუნველყოფილ იქნას უსინათლოთა სასკოლო, სკოლამდე და სკოლაგარეშე აღზრდისა და განათლების რაციონალურად დაყენება, რომ მოეწყოს მათთვის საერთო საცხოვრებლები, უზრუნველყოფილ იქნან ისინი საექიმო დახმარებით და განხორციელდეს ღონისძიებანი უსინათლობის წინასწარ აღსაკვეთად;

ვ) აღმოუჩინოს საზოგადოების წევრებს უფლებრივი დახმარება;

ზ) გასწიოს წარმომადგენლობა უსინათლოთა საქმეების გამო ცენტრალურ და ადგილობრივ სახელმწიფო ორგანოებსა და საზოგადოებრივ ორგანიზაციებში;

თ) გამოსცეს ლიტერატურა უსინათლოთა ცხოვრების, შრომის და განათლებისა, უსინათლობის პროფილაქტიკისა და სხვა საკითხებზე, რაც უსინათლოთა ინტერესებსა და მოთხოვნილებას ეხება; აგრეთვე აწარმოოს საზოგადოების მიზნებისა და ამოცანების პროპაგანდა მოხსენებების, ლექციების და სხვ მოწყობით;

ი) მზრუნველობა გაუწიოს ღრმა მოხუცებულ და შრომის უნარდაკარგულ უსინათლოთ;

კ) იქონიოს კავშირი და აწარმოოს გამოცდილების გაცვლა-გამოცვლა უსინათლოთა ორგანიზაციებთან სხვა მოკავშირე რესპუბლიკებში.

### III. სრულიად საქართველოს უსინათლოთა საზოგადოების შედგენილობა.

8. სრულიად საქართველოს უსინათლოთა საზოგადოების წევრად შეიძლება იყოს 14 წლის ასაკს მიღწეული მშრომელი, რომელსაც კონსტიტუციით

საქართველოს  
საზოგადოებრივი  
ორგანიზაციის

საარჩევნო უფლება ჩამორთმეული არა აქვს და რომელიც აბსოლუტურად უსინათლოა, უკეთუ იგი მხედველობის ორგანოების მდგომარეობის მიხედვით მიეკუთვნება ინვალიდობის ერთერთ ჯგუფს პირველი ორი ჯგუფიდან.

საზოგადოების წევრად შეიძლება იყოს აგრეთვე თვალხილული მშრომელი, რომელსაც საარჩევნო უფლება აქვს, უკეთუ მას შეუძლია დახმარება აღმოუჩინოს უსინათლოთა ორგანიზაციას.

სრულიად საქართველოს უსინათლოთა საზოგადოების წევრად შეიძლება იყოს აგრეთვე იურიდიული პირი (სახელმწიფო ორგანო, პროფესიონალური და სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაცია).

9. საზოგადოების წევრად მიღების წესი და პირობები და აგრეთვე საზოგადოების შედგენილობიდან გასვლა და გარიცხვა განისაზღვრება სრულიად საქართველოს უსინათლოთა საზოგადოების წესდებით.

10. საზოგადოების ადგილობრივი ორგანიზაციის წევრად შესული პირი და ორგანიზაცია ითვლება სრულიად საქართველოს უსინათლოთა საზოგადოების წევრად.

11. საზოგადოების ყველა წევრი (უსინათლო და თვალხილული), გარდა არასრულწლოვანისა, შეიძლება არჩეულ იქნას საზოგადოების საქმეთა მმართველობის ყველა თანამდებობაზე, გარდა სრულიად საქართველოს უსინათლოთა საზოგადოების და მისი ადგილობრივი ორგანიზაციების თავმჯდომარეების თანამდებობისა, რომელი თანამდებობაც აუცილებლად უსინათლოს უნდა ეჭიროს.

მმართველობის და კონტროლის ორგანოების არჩევის წესი და მათი მოქმედების საგანი განისაზღვრება სრულიად საქართველოს უსინათლოთა საზოგადოების წესდებით.

12. საზოგადოების წევრად შემსვლელი პირი, დაწესებულება და ორგანიზაცია შეიტანს შესასვლელ და საწევრო გადასახადს, რომლის რაოდენობას განსაზღვრავს სრულიად საქართველოს უსინათლოთა საზოგადოების საერთო კრება. არაშემძლე უსინათლო, უმუშევარი და მოსწავლე შეიძლება განთავისუფლებულ იქნას საწევრო გადასახადისაგან, ან და მათთვის შეიძლება დაწესდეს ამ გადასახადის შემცირებული რაოდენობა.

#### IV. სრულიად საქართველოს უსინათლოთა საზოგადოების სახხარი.

13. საზოგადოების და მისი ადგილობრივი ორგანიზაციების (განყოფილებების, უჯრედების) სახსარი შესდგება:

ა) შესასვლელი და საწევრო გადასახდისაგან;

ბ) ანარიცხებისაგან, რასაც გადასდებენ სახელმწიფო ორგანოები და საზოგადოებრივი ორგანიზაციები;

გ) ყოველწლიური ანარიცხებისაგან, რასაც გადასდებს სოციალური უზრუნველყოფის სახალხო კომისარიატთან არსებული სასწავლო-საწარმოო და საწარმოო წამოწყებების სამმართველო, თანახმად უსინათლოთა საზოგადოე-

ბის ხარჯთ-აღრიცხვებისა, რომელთაც დაამტკიცებს სოციალური უზრუნველყოფის სახალხო კომისარიატი;

დ) ლექციების, კონცერტების, ლიტერატურული საღამოების, სპექტაკლების, კინო-სეანსების, ლატარიების, გამოფენების და ლიტერატურული გამოცემების შემოსავლისაგან და სხვა შემოსავლისაგან.

#### V. სრულიად საქართველოს უსინათლოთა საზოგადოების საქმეთა მმართველობა.

14. სრულიად საქართველოს უსინათლოთა საზოგადოების და მისი ადგილობრივი ორგანიზაციების მმართველობის ორგანოებია: სრულიად საქართველოს უსინათლოთა საზოგადოების საერთო კრებები და მასში შემავალი ადგილობრივი ორგანიზაციების რწმუნებულთა კრებები და გამგეობანი.

საზოგადოების და მისი ადგილობრივი ორგანიზაციების მოქმედების კონტროლისა და მეთვალყურეობის ორგანოებია სარევიზიო კომისიები.

მმართველობისა და კონტროლის აღნიშნული ორგანოები ეწყობიან და მუშაობენ საზოგადოების წესდებით განსაზღვრულ საფუძველზე.

სრულიად საქართველოს უსინათლოთა საზოგადოების და მისი ადგილობრივი ორგანოების გამგეობანი შეადგენენ წლიურ საფინანსო გეგმებს, რომლებიც საზოგადოების სისტემაში შემავალი ყველა ორგანიზაციის მოქმედებას უნდა მოიცავდეს; თვალყურს ადევნებენ ამ გეგმების შესრულებას, და თავიანთი მოქმედების ანგარიშს აბარებენ საზოგადოების საერთო კრებას და ადგილობრივი ორგანიზაციების რწმუნებულთა კრებას იმ ვადებზე, რაც დაწესებულია ასეთი კრებებისათვის.

#### VI. სრულიად საქართველოს უსინათლოთა საზოგადოების ადგილობრივი ორგანიზაციები.

15. სრულიად საქართველოს უსინათლოთა საზოგადოების წესდებით გათვალისწინებული წესით, საქართველოს სსრ ტერიტორიაზე მოეწყობა საზოგადოების ადგილობრივი რესპუბლიკანური (აფხაზეთის და აჭარისტანის ავტონომიური რესპუბლიკების), საოლქო (სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის), საქალაქო, სარაიონო და სასოფლო ორგანიზაციები (განყოფილებანი, უჯრედები), რომელნიც ადგილობრივი მასშტაბით განახორციელებენ ამა დებულების მე-7 მუხლში აღნიშნულ ამოცანებს.

16. სრულიად საქართველოს უსინათლოთა საზოგადოების ადგილობრივი ორგანიზაციების მოქმედების საერთო ხელმძღვანელობას და კონტროლს ანხორციელებს საქართველოს სსრ სოციალური უზრუნველყოფის სახალხო კომისარიატი და სოციალური უზრუნველყოფას ადგილობრივი ორგანოები, ხ.ალო

აფხაზეთის და აჭარისტანის ავტონომიურ რესპუბლიკებსა და სამხრეთ-აღმოსავლეთის ავტონომიურ ოლქში—ამ რესპუბლიკებისა და ოლქის სოციალური უზრუნველყოფის ორგანოები, კუთვნილებსამებრ.

### VII. უსინათლოთა სრულიად საქართველოს ყრილობები.

17. სრულიად საქართველოს უსინათლოთა საზოგადოების გამგეობის შეხედულებისამებრ და სოციალური უზრუნველყოფის სახალხო კომისარიატის ნებართვით, იმ მიზნით, რომ გამოირკვეს უსინათლოთა საჭიროებანი რესპუბლიკის მთელ ტერიტორიაზე, რომ უფრო წარმატებით განხორციელდეს დასახული ღონისძიებანი მათი მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად და გამოიმუშავდეს საერთო პრინციპები უსინათლოთა მასების მატერიალური, მორალური და კულტურული დახმარების საქმეში, შეიძლება მოწვეულ იქნას უსინათლოთა ყრილობები, თათბირები და კონფერენციები. მათი მოწვევის წესს, შედგენილობას და იმ საკითხთა წრეს, რაც მათ უნდა განიხილონ, განსაზღვრავს სრულიად საქართველოს უსინათლოთა საზოგადოების გამგეობა.

### VIII. სრულიად საქართველოს უსინათლოთა საზოგადოებისა და მისი წევრებისათვის მინიჭებული შეღავათები და უპირატესობანი.

18. თავისი საჭიროებისათვის სადგომების დაჭირაების საქმეში სრულიად საქართველოს უსინათლოთა საზოგადოებას და მის ადგილობრივ ორგანიზაციებს (განყოფილებებს, უჯრედებს) აქვთ ის შეღავათები და უპირატესობანი, რაც ეძლევათ ინვალიდთა კოოპერატიულ შენაერთებს.

19. სრულიად საქართველოს უსინათლოთა საზოგადოება და მისი ადგილობრივი ორგანიზაციები განთავისუფლდებიან სხვადასხვა ვარიეტების დადების დროს და ყველა სხვა შემთხვევაში ყველა ადგილობრივი გადასახადისა და გამოსაღებისაგან და ერთიანი სახელმწიფო ბაჟისაგან.

20. სრულიად საქართველოს უსინათლოთა საზოგადოებისა და მისი ადგილობრივი ორგანიზაციების მიერ მოწყობილ უსინათლოთა არტელებს აქვთ თავის მოქმედებაში ის უფლებანი, შეღავათები და უპირატესობანი, რაც კანონით ინვალიდთა არტელებს აქვთ მინიჭებული. უსინათლოთა არტელები ეწყობიან და მოქმედობენ სანიმუშოა წესდებათა საფუძველზე, რასაც სოციალური უზრუნველყოფის სახალხო კომისარიატი გამოსცემს ინვალიდთა კოოპერატიული შენაერთებისათვის.

21. სრულიად საქართველოს უსინათლოთა საზოგადოებისა და მისი ადგილობრივი ორგანიზაციების წევრთა შედგენილობაში შემავალი უსინათლო და აგრეთვე მის რჩენაზე მყოფი მისი ოჯახის წევრი, ყოველგვარი გადასახადის, გამოსაღების და ბაჟის გადახდისა, ბინის ქირისა და კომუნალური მომსახუ-

რეობის ქირის გადახდის მხრივ გაუთანასწორდება სახელმწიფო (სოციალური) უზრუნველყოფაზე აყვანილ ინვალიდებს და მათი ოჯახის წევრებს.

22. უსინათლოს, რომელიც სრულიად საქართველოს უსინათლოთა საზოგადოების წევრია და ეწევა პირად რეწაობას ან ხელოსნობას, გადასახდით და გამოსაღებით დაბეგვრის სფეროში აქვს იგივე უფლებები და შეღავათები, რაც იმ ინვალიდებს, რომელნიც სახელმწიფო პენსიას იღებენ.

23. სამედიცინო დახმარება იმ უსინათლოებს, რომელნიც სრულიად საქართველოს უსინათლოთა საზოგადოების წევრები არიან, და მათ ოჯახებს აღმოეჩინება იმავე წესით და მოცულობით, როგორც დაზღვეულებს და მათი ოჯახის წევრებს.

24. ამა დებულების 21, 22 და 23 მუხლებში აღნიშნული შეღავათები არ გავრცელდება სრულიად საქართველოს უსინათლოთა საზოგადოების თვალბილულ წევრებზე.

ფ ა ხ • 20 კაპ.

**გამომცემელი** საქ. სსრ ს. კ. ხ-ის 1935 წ. № 21. პ/მ. რედაქტორი **მ. გამარჯავლი**  
 საქმ. მმართველობა

ქალაქის ფორმატი 62×94 სანტ.; 1 ბეჭდვ. ფურც.; 1 ბეჭდვ. ფურც. 48.500 სტამბ. ნიშანი

გადაეცა სტამბას 2/IV; ხელმოწერილია დასაბეჭდად 30/IV ტირაჟი 1.800

მთავლ. რწმ. ს.—№ 8737.

საქ. სსრ სახ. კომ. საბჭოს სტამბა.

შეკვ. № 520